თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 12

ქ. თელავი 2019 წლის 24 ოქტომბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილ თხლაშიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ქიზიყელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარე **ალექსი ძულიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარის მოადგილე **ბაადურ რევაზიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები''-ს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები''-ს თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **აბრამ მახარიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ლელა მენთეშაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **გურამ წულუკიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **დავით ბეგიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ქსოვრელიშვილი,** მოქალაქეები - **მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. დ. ქსოვრელიშვილი

მოისმინეს: 1 თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია. როგორც მან აღნიშნა რეგიონალური ფონდით დაფინანსებული პროექტებიდან უკვე დასრულებულია 8 პროექტი, კერძოდ დასრულდა ქ. თელავში ერისთავის, გოგებაშვილის და ქლუხორის ქუჩების რეაბილიტაცია. რუისპირში და კისისხევში სასმელი წყლის მაგისტრალისა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია, წინანდალში, ბუშეტში კურდღელაურში და ყარაჯალაში შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

მიმდინარეობს შემდეგი პროექტები ქ. თელავში ჭავჭავაძის გამზირის N2-ში და ქეთევან წამებულის N5, N7, N9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია, სოფელ ვანთაში ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელი ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრეების მოწყობა, სოფელ აკურაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრეების მოწყობა, სოფელ შალაურში სასაფლაოსკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია, სოფელ ვანთაში სასმელი წყლის ქსელის და მაგისტრალის რეაბილიტაცია და სამარაგო რეზერვუარის მოწყობა, სოფელ იყალთოში სკოლიდან ე.წ. სამმილიან წყარომდე გზის მოასფალტება. სოფელ ფშაველში კულტურის სახლის ეზოში კემპინგის მოწყობა.

სარეაბილიტაციო 14 სკოლიდან სამუშაოები დასრულებულია 13-ში. ერთში კი (ნაფარეული) დასრულდება ოქტომბრის ბოლოს.

მიმდინარეობს ქვ. ხოდაშენის ამბულატორიის მშენებლობა. სარეაბილიტაციო 6 ამბულატორიიდან დასრულებულია ოთხ ამბულატორიაში, ხოლო ორზე კი მიმდინარეობს სამუშაოები.

სოფელ ნაფარეულში მიმდინარეობს გადაუდებელი ცენტრის მშენებლობა.

სტიქიის პრევენციის ფარგლებში მიმდინარეობს თურდოს ხევის გაწმენდის სამუშაოები. უახლოეს დღეებში დაიწყება კისისხევის ხევის გაწმენდის სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის 45 პროექტიდან დასრულებულია 30, ერთ პროექტზე გამოცხადებულია ტენდერი, ხოლო დანარჩენებზე სამუშაოები მიმდინარეობს.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტებიდან დასრულებულია ცამეტი, მიმდინარეობს ოთხი, დასრულებულია

ტენდერი 3-ზე, ტენდერი გამოცხადებულია ორ პროექტზე, ხოლო ორ პროექტზე მიმდინარეობს პროექტირება.

ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ ართანაში უნდა მოწყობილიყო სკვერი. დადგმულია ოთხი სავარჯიშო მოწყობილობა და შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად სხვა არაფერი არ არის გაკეთებული.

დავით ქსოვრელიშვილმა აღნიშნა, რომ დეტალურად შეისწავლის ართანის სკვერთან დაკავშირებულ საკითხს და კომისიის წევრებს მიაწვდის ინფორმაციას.

მოქალაქე **არჩილ მჭედლიშვილმა** კითხვით მიმართა მომხსენებელს ერისთავის ქუჩაზე არსებული საფლავის ქვებთან დაკავშირებით, რაზეც დავით ქსოვრელიშვილმა განუმარტა, რომ საფლავის ქვები გადატანილ იქნა სასაფლაოზე.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ მიღებულ იქნას ცნობად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე